



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

14. 06. 2018 წელი

N 37/36

ეგზ.: N2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს (პროგრამული კოდი: 06 00)
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	5
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5
1.2.2 ძირითადი აქტივები.....	6
1.2.3 საცნობარო მუხლი	7
2. სხვა საკითხთა აბზაცი	8
2.1 შრომის ანაზღაურება	8
2.2 აქტივების ჩამოწერა.....	8
2.3 პროგრამული ბიუჯეტი.....	8
3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა -ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	10
4. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	10
5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით	11
დანართები: სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	13

ტერმინთა განმარტება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო -
სამინისტრო;

სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი -
ჯანდაცვის ცენტრი;

სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო - **დასაქმების სააგენტო.**

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის ერთმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარება და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. სამინისტროს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს რეგიონში ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის:

- ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, დაავადებათა და მართვად ინფექციათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
- მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფები წარმოდგენილია სქემის სახით:



სამინისტროს 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 16,250,614 ლარს, საკასო შესრულება - 16,187,110 ლარს. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი N1. სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

კოდი	დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა დაზუსტ. ბიუჯეტსა და საკასო შესრულებას შორის	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების %
06 00	აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	16,250,614.00	16,187,110.00	63,504.00	99.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	125	123		
2	ხარჯები	15,454,684.00	15,391,425.00	63,259.00	99.6
2.1	შრომის ანაზღაურება	2,081,737.00	2,081,732.00	5.00	100.0
2.2	საქონელი და მომსახურება	527,365.00	509,488.00	17,877.00	96.6
2.6	სოციალური უზრუნველყოფა	9,687,297.00	9,643,718.00	43,579.00	99.6
2.7	სხვა ხარჯები	3,158,285.00	3,156,487.00	1,798.00	99.9
2.8	არაფინანსური აქტივები	795,930.00	795,685.00	245.00	100.0

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მასთან არსებული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მასთან არსებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველები

1.2.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს, დადგენილი რეგულაციის შეუსაბამოდ¹, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ ბალანსში აღრიცხული არ აქვს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლებზე დარიცხული პირგასამტეხლოები და სამინისტროსთვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა - ჯამში 11,538 ლარის² ოდენობით, რაც გამოწვეულია აღრიცხვის არასრულყოფილი წარმოებით, კერძოდ:

- სამინისტროს ცენტრალურ აპარატს არ აქვს აღრიცხული პროგრამების მართვის და მონიტორინგის განყოფილების მიერ 2017 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მიმწოდებლებზე დარიცხული პირგასამტეხლოები და სამედიცინო დაწესებულების მიერ სამინისტროსათვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა - ჯამში 5,459 ლარი;

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 59-ე პუნქტის მოთხოვნა.

² დარიცხული პირგასამტეხლო - 10,593 ლარი; სამინისტროსთვის ზედმეტად მოთხოვნილი თანხა - 945 ლარი.

- ჯანდაცვის ცენტრს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღრიცხული არ აქვს ღონისძიების - „ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში“ - ფარგლებში 2016 წლის 22 აპრილს და 2017 წლის 15 თებერვალს გაფორმებული N03-01/28 და N03-01/26 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოები - ჯამში 6,079 ლარი³.

სხვა მოკლევდიანი მოთხოვნების არასრულად აღრიცხვის შედეგად, სამინისტრო არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონსოლიდირებულ ბალანსში შემავალი იურიდიული პირების მოთხოვნების რეალური ღირებულების შესახებ, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მათი შეუსრულებლობის და შესაბამისად, ბიუჯეტში თანხების მიუმართაობის რისკებს.

1.2.2 ძირითადი აქტივები

სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ ბალანსში ძირითადი აქტივების ანგარიშზე ნაშთი 63,546 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად აქვს წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია აღრიცხვისას დაშვებული შეცდომებით და ცვეთის არასწორი ნორმების გამოყენებით, კერძოდ:

- ჯანდაცვის ცენტრს ძირითადი აქტივების ანგარიშზე ზედმეტად აქვს აღრიცხული 80,899 ლარის დროებით სარგებლობისათვის გადმოცემული სამაცივრე დანადგარები. აღნიშნული აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საკუთრებას და ირიცხება მის ბალანსზე;
- ჯანდაცვის ცენტრის ბალანსში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების ნაშთი წარმოდგენილია 34,069 ლარით⁴ შემცირებულად;
- ჯანდაცვის ცენტრს 500 ლარზე ნაკლები ღირებულების 33 ერთეული ლიცენზია - ჯამში 6,804 ლარის⁵, ნაცვლად მცირეფასიანი აქტივებისა, აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივების ანგარიშზე;
- ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების ნაშთი წარმოდგენილია 7,591 ლარით გაზრდილად;
- დასაქმების სააგენტოს, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების ავეჯი - ჯამში 2,321 ლარის⁶, ნაცვლად მცირეფასიანი აქტივებისა, აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივების ანგარიშზე.

ცვეთის არასწორი დარიცხვა და აქტივების უზუსტოდ აღრიცხვა იძლევა არაფინანსური აქტივების ნარჩენი ღირებულების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შეუსაბამობას რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან.

³ დავალიანების დაფარვის მიზნით შეტანილია სარჩელი ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 25 ივლისისა და 2018 წლის 20 აპრილის წერილებით.

⁴ შენობა - 19,930 ლარი; ლიცენზიები -12,098 ლარი; ელ. მიკროსკოპი -117 ლარი; გენერატორი -1,924 ლარი.

⁵ საწყისი ღირებულებით - 11,340 ლარი, ნარჩენი ღირებულებით - 6,804 ლარი.

⁶ მაგიდა 19 ცალი და 4 ერთეული საოფისე სავარძელი: საწყისი ღირებულებით - 7,735 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულებით - 2,321 ლარი.

1.2.3 საცნობარო მუხლი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის საცნობარო მუხლში „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ N08 ანგარიშზე ნაშთი - ჯამში 8,778 ლარით, ხოლო „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების“ N02 ანგარიშზე - 46,639 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც განპირობებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენისას დაშვებული შეცდომით და არასწორი ფინანსური აღრიცხვით, კერძოდ:

- ჯანდაცვის ცენტრის ბალანსის საცნობარო მუხლში, ამორტიზებული ძირითადი აქტივების ღირებულება 33,799 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი;
- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საცნობარო მუხლში, ამორტიზებული ძირითადი აქტივების ღირებულება 25,021 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- ჯანდაცვის ცენტრს საცნობარო მუხლის N02 ანგარიშზე „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ აღრიცხული არ აქვს დროებით სარგებლობაში გადმოცემული სამაცივრე დანადგარები⁷, ხოლო ზედმეტად აქვს აღრიცხული საკუთრებაში გადმოცემული ამორტიზებული ძირითადი აქტივების ნაწილი⁸. შესაბამისად, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების ანგარიშზე ნაშთი შემცირებულია 46,639 ლარით.

ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში აქტივების უზუსტო აღრიცხვა არ იძლევა მხარჯავ დაწესებულებაში არსებული აქტივების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას და წარმოშობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერად განკარგვის შესაძლებლობას.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“, ნაწილში. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

⁷ 80, 899 ლარის დანადგარები, ნაცვლად „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების“ ბალანსგარეშე ანგარიშისა, აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივის ანგარიშზე.

⁸ ავტომანქანა „უაზი“, ელექტრომიკროსკოპები - შესაბამისად, საწყისი ღირებულებით - 21,708 და 8564.4 ლარი.

2. სხვა საკითხთა აზიარება

2.1 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2017 წელს გაწეულ იქნა ჯამში 2,081,732 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, 401,912 ლარი⁹ წარმოადგენს დანამატს, რომელიც გაცემულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით, დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, დამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან შესაბამისი ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2.2 აქტივების ჩამოწერა

სამინისტრომ ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაციის¹⁰ შედეგების საფუძველზე განახორციელა ამორტიზებული და გამოუყენებელი მოძრავი ქონების¹¹ ჩამოწერა/ლიკვიდაცია. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2016 წლის 13 დეკემბრის დასკვნით, ჩამოსაწერი კომპიუტერების კომპლექტაციებიდან ვარგისი იყო 19 ერთეული მონიტორი, საიდანაც 14 ერთეული სამინისტრომ გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო დარჩენილი 5 ერთეული მონიტორი, რომლებიც ფიზიკურად ინახება სამინისტროში, ნაცვლად შეფასებისა და ბალანსზე აღიგზისა - ჩამოიწერა¹².

შესაბამისად, აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური ფასეულობების ბალანსზე აღურიცხაობა, განპირობებულია აქტივების შეცდომით ჩამოწერით და წარმოშობს მათი არამართლზომიერი განკარგვის შესაძლებლობას.

2.3 პროგრამული ბიუჯეტი

სამინისტროს და მასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის დაზუსტებული ასიგნება განისაზღვრა 16,250,614 ლარით. საანგარიშო პერიოდში პროგრამების შესრულება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

⁹ შრომის ანაზღაურების 19%.

¹⁰ 2017 წლის 13 ოქტომბრის N12/137 ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარებაზე. 2017 წლის 9 ნოემბრის N1500-05 მოხსენებითი ბარათი.

¹¹ ძირითადი საშუალებები - 52,304 ლარი, მცირეფასიანი ინვენტარი - 24,012 ლარი.

¹² აუდიტის ობიექტის განმარტებით, აქტივები ჩამოიწერა შეცდომით, მექანიკურად, როგორც მწყობრიდან გამოსული კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილი.

ცხრილი N2. აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მონაცემები (ლარებში)

კოდი	პროგრამის დასახელება	დამტკიც. ბიუჯეტი	დაზუსტებულ ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა დაზუსტ. და საკასოს შორის	შესრულება (%)
06 01	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1,728,000	2,000,130	1,985,804	14,326	99. 3
06 02	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	6,474,200	6,869,900	6,836,636	33,264	99. 5
06 03	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	520,000	572,000	566,063	5,937	99. 0
06 04	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	1,283,090	1,103,940	1,100,225	3,715	99. 7
06 05	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	1,213,540	1,205,030	1,205,030	-	100
06 06	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	291,000	503,954	503,954	-	100
06 07	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	180,000	184,500	184,500	-	100
06 08	მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	124,100	122,690	122,519	171	99. 9
06 09	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფა	3,000,000	2,815,200	2,815,148	52	100
06 10	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	801,700	793,800	788,152	5,648	99. 3
06 11	ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა	138,000	79,470	79,080	390	99. 5
სულ:		15,753,630	16,250,614	16,187,110.6	63,503.4	99.6

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროგრამების შესრულების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 99.6%-ს, ამასთანავე, შეუსრულებლობის ჯამური თანხა შეადგენს 63,503 ლარს, რაც ძირითადად განპირობებულია ქვეპროგრამებში წარმოქმნილი ეკონომიებით. დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის სხვაობა შეადგენს 496,984 ლარს, რაც ძირითადად განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხებით. მათ შორის:

- **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის პროგრამის** ფარგლებში, 2017 წლის 31 მარტს, სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოეყო 272,000 ლარი ორი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანის შესყიდვის მიზნით¹³.

¹³ შესყიდული სასწრაფო დახმარების მანქანები გადაეცა ხულოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს.

- მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს დამატებით გამოეყო - ჯამში 224,954 ლარი¹⁴.

3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა - ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ:

- ძირითადი კაპიტალის მოხმარებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრილია ჯანდაცვის ცენტრის მიერ და შესაბამისი ცვლილებები ასახულია 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ვალდებულებების ზუსტ აღივხვასთან დაკავშირებით გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრილია დასაქმების სააგენტოს მიერ და შესაბამისი ცვლილებები გათვალისწინებულია 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ დანამატების გაცემასთან დაკავშირებით არ იყო წარმოდგენილი გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი მტკიცებულება. დანამატები ანალოგიური წესით გაცემულია ასევე 2017 წელს. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლიდან მოქმედმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო აღნიშნული საკითხის დარეგულირებას.

4. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

¹⁴ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ ყოველ ჯერზე, გადაწყვეტილებას იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდებოდა მთელი წლის განმავლობაში მატერიალური დახმარების თითოეული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიხედვით.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI 1000-1810 -ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობასა და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს; აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე, აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა

მაია მუჯირიშვილი
უფროსი აუდიტორი

14 ივნისი, 2018 წელი

დანართები: სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ბალანსის დანართი ფორმა N1

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110	-	-
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120	-	-
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	2,700	873
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	-	-
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230	-	-
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	-	-
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	-	-
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	-	-
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	-	-
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	-	-
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	-	-
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	-	-
130	მოკლევადიანი სესხები	1320	-	-
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	-	-
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	-	-
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	-	-
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	-	-
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	-	-
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	-	-
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	-	-
210	გადახდილი დღგ	1356	-	-
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	-	-
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	-	-
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359	-	-
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	-	-
260	მოთხოვნები ბარტერით	1410	-	-
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	-	-
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	-	-

290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	-	-
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	-	-
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	-	-
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	-	-
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	-	-
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	-	-
350	გრძელვადიანი სესხები	1510	-	-
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	-	4,872,309
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	-	-
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	-	-
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	265,012	290,987
410	შენობა-ნაგებობები	2110	485,311	480,237
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	571,885	501,075
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	212,999	184,603
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	-	-
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	-	18,734
460	ფასეულობები	2300	-	-
470	არაწარმოებული აქტივები	2400	-	-
ბალანსი			1,537,907	6,348,818
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	-	-
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	-	3,326.0
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	-	-
510	ვალდებულებები ბარტერით	3230	-	-
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	-	-
530	გადასახდელი დღგ	3242	-	-
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	-	-
550	სხვა გადასახდელები	3244	-	-
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245	-	-
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	-	-
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	-	-

590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	-	-
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	-	-
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	-	-
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255	-	-
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256	-	-
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	-	-
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258	-	-
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259	-	-
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	-	-
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270	-	8,233.0
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	-	-
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310	-	-
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	-	-
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	-	-
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332	-	-
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	-	-
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	1,537,404	6,337,259
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	502	-
770	გაუნაწილებელი მოგება	5220	-	-
780	დაუფარავი ზარალი*	5230	-	-
ბალანსი			1,537,906	6,348,818
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01	-	-
800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	34,260	34,260
810	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	-	-
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	-	-
830	პირობითი მოთხოვნები	05	-	-
840	პირობითი ვალდებულებები	06	-	-
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	-	-
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	155,837	175,862
870	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	-	-
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	147,935	135,283
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	-	-

ბალანსის დანართი ფორმა N2.

კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	საანგარიშო პერიოდის დამტკიცებუ ლი გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	15,354,160	15,454,684	15,406,950	15,391,426	15,391,426	16,982,354	1,590,929
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	2,136,580	2,081,737	2,081,732	2,081,732	2,081,732	2,081,732	-
030	1.1.1 ხელფასები	211	2,136,580	2,081,737	2,081,732	2,081,732	2,081,732	2,081,732	-
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	2,136,580	2,081,737	2,081,732	2,081,732	2,081,732	2,081,732	-
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1,424,718	1,394,203	1,394,203	1,394,203	1,394,203	1,394,203	-
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	-	-	-	-	-	-	-
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	285,621	285,621	285,617	285,617	285,617	285,617	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	426,241	401,913	401,912	401,912	401,912	401,912	-
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115	-	-	-	-	-	-	-
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	-	-	-	-	-	-	-
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112	-	-	-	-	-	-	-
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	-	-	-	-	-	-	-
130	1.1.2.1. ფაქტობრივად განხორციელებუ ლი სოციალური შენატანები	2121	-	-	-	-	-	-	-
140	1.1.2.2 პირობითად განხორციელებუ ლი სოციალური შენატანები	2122	-	-	-	-	-	-	-
150	1.2 საჯონელი და მომსახურება	22	477,680	527,365	516,781	509,489	509,489	504,828	(4,660)
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	84,853	141,768	141,768	141,768	141,768	141,768	-
170	1.2.2 მივლინებები	222	31,950	32,747	31,433	27,467	27,467	27,467	-
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	165,288	162,439	161,889	161,889	161,889	163,440	1,551
190	1.2.4 წარმომადგენლო ბითი ხარჯები	224	19,212	19,212	18,937	18,759	18,759	18,937	178

200	1.2.5 კვების ხარჯები	225	-	-	-	-	-	-	-
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	-	920	920	920	920	788	(132)
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	3,370	5,170	5,170	5,170	5,170	5,170	-
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	125,168	117,235	112,764	109,616	109,616	112,584	2,968
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229	-	-	-	-	-	-	-
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	47,839	47,874	43,899	43,899	43,899	34,674	(9,225)
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23	-	-	-	-	-	161,432	161,432
270	1.4 პროცენტი	24	-	-	-	-	-	-	-
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	-	-	-	-	-	-	-
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411	-	-	-	-	-	-	-
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412	-	-	-	-	-	-	-
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413	-	-	-	-	-	-	-
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414	-	-	-	-	-	-	-
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242	-	-	-	-	-	-	-
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243	-	-	-	-	-	-	-
350	1.5 სუბსიდიები	25	-	-	-	-	-	-	-

360	1.6 გრანტები	26	-	-	-	-	-	-	-
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	-	-	-	-	-	-	-
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611	-	-	-	-	-	-	-
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612	-	-	-	-	-	-	-
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	-	-	-	-	-	-	-
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621	-	-	-	-	-	-	-
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622	-	-	-	-	-	-	-
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	-	-	-	-	-	-	-
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	-	-	-	-	-	-	-
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632	-	-	-	-	-	-	-
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	9,385,450	9,687,297	9,651,951	9,643,718	9,643,718	11,077,875	1,434,157
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	-	-	-	-	-	-	-
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711	-	-	-	-	-	-	-
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712	-	-	-	-	-	-	-
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	9,385,450	9,681,304	9,646,076	9,637,843	9,637,843	11,072,000	1,434,157
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	9,385,450	9,681,304	9,646,076	9,637,843	9,637,843	9,646,076	8,233
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722	-	-	-	-	-	1,425,924	1,425,924
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	-	5,993	5,875	5,875	5,875	5,875	-
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	-	5,993	5,875	5,875	5,875	5,875	-
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732	-	-	-	-	-	-	-
560	1.8 სხვა ხარჯები	28	3,354,450	3,158,285	3,156,487	3,156,487	3,156,487	3,156,487	-
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	-	-	-	-	-	-	-
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811	-	-	-	-	-	-	-

590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812	-	-	-	-	-	-	-
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813	-	-	-	-	-	-	-
610	1.8.1.4 რენტა	2814	-	-	-	-	-	-	-
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	3,354,450	3,158,285	3,156,487	3,156,487	3,156,487	3,156,487	-
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	354,450	343,085	341,339	341,339	341,339	341,339	-
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	3,000,000	2,815,200	2,815,148	2,815,148	2,815,148	2,815,148	-
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მაჩვენებელთა დასახელება			სახელმწიფო ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო				
			წლიური გეგმით	ფაქტობრივად	წლიური გეგმით	ფაქტობრივად			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა			125	123	0	0			
2. შტატგარეშედ მომუშავეთა რიცხოვნობა					1	1			

ბალანსის დანართი ფორმა N2-1.

კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიც. გეგმით	დაზუსტ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	399,500	795,930	795,685	795,685	795,685
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	399,500	795,930	795,685	795,685	795,685
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	-	-	-	-	-
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111	-	-	-	-	-
050	1.1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	-	-	-	-	-
060	1.1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113	-	-	-	-	-
070	1.1.1.1.4 ქუჩები	31114	-	-	-	-	-
080	1.1.1.1.5 გზები	31115	-	-	-	-	-
090	1.1.1.1.6 ხიდები	31116	-	-	-	-	-
100	1.1.1.1.7 გვირაბები	31117	-	-	-	-	-
110	1.1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	-	-	-	-	-
120	1.1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119	-	-	-	-	-
130	1.1.1.1.10 მილსადენები	311110	-	-	-	-	-
140	1.1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	-	-	-	-	-
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	389,500	783,570	783,325	783,325	783,325
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	365,500	753,892	745,680	745,680	745,680
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	24,000	29,678	37,645	37,645	37,645
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	10,000	12,360	12,360	12,360	12,360
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131	-	-	-	-	-
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	10,000	12,360	12,360	12,360	12,360
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321	-	-	-	-	-
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322	10,000	12,360	12,360	12,360	12,360
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121	-	-	-	-	-

250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	-	-	-	-	-
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221	-	-	-	-	-
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222	-	-	-	-	-
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223	-	-	-	-	-
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224	-	-	-	-	-
300	1.3 ფასეულობები	313	-	-	-	-	-
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	-	-	-	-	-
320	1.4.1 მიწა	3141	-	-	-	-	-
330	1.4.2 წიაღისეული	3142	-	-	-	-	-
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	-	-	-	-	-
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431	-	-	-	-	-
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432	-	-	-	-	-
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144	-	-	-	-	-

ბალანსის დანართი ფორმა N3.

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	-		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1,537,404.27
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2,081,732	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	16,187,110.55
7200	საქონელი და მომსახურება	504,828	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	-
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	161,432	6000	შემოსავლები	6,349,107.10
7310	მათ შორის: ფიზიკური ცვეთა	161,432	6300	მათ შორის: გრანტები	4,923,061.00
7400	პროცენტი	-		სასაქონლო ფორმით	1,425,924.00
7500	სუბსიდიები	-		სხვა	122.10
7600	გრანტები	751,733			-
7700	სოციალური უზრუნველყოფა	11,077,875			-
7800	სხვა ხარჯები	3,156,487			-
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	-	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	-
8200	არასაოპერაციო ხარჯები	2,275			-
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *	-			-
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	-			-
	სადებიტო ბრუნვა	17,736,363		საკრედიტო ბრუნვა	22,536,217.65
	სულ ჯამი:**	17,736,363		სულ ჯამი:***	24,073,621.92
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	-		ნაშთი პერიოდის ბოლოს	6,337,259.41

ბალანსის დანართი ფორმა N4.

სტრიქონის კოდი	დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტობრივი
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის		2,700	
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			502
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები	-	48,174	48,174
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით	-	-	-
060	გადასახადები	-	-	-
070	გრანტები	-	-	-
080	სხვა შემოსავლები	-	48,174	48,174
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-
110	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	-	-	-
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	48,174	48,174
140	შემოსულობები	-	-	-
150	არაფინანსური აქტივების კლება	-	-	
160	ფინანსური აქტივების კლება	-	-	
170	ვალდებულებების ზრდა	-	-	
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები	-	48,174	48,174
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	-	50,001	48,676
220	1.1 შრომის ანაზღაურება	-	24,640	24,640
230	1.2 საქონელი და მომსახურება	-	25,361	24,036
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-
250	1.4 პროცენტი	-	-	-
260	1.5 სუბსიდიები	-	-	-
270	1.6 გრანტები	-	-	-
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-
290	1.8 სხვა ხარჯები	-	-	-
300	გადასახდელები			
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	
320	2.1 ძირითადი აქტივები	-	-	
330	2.2 მატერიალური მარაგები	-	-	
340	2.3 ფასეულობები	-	-	
350	2.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	

360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	
370	3.1 საშინაო	-	-	
380	3.2 საგარეო	-	-	
390	4. ვალდებულებების კლება	-	-	
400	4.1 საშინაო	-	-	
410	4.2 საგარეო	-	-	
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	-	50,001	48,676
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
440	არასაოპერაციო შემოსავლები		-	-
450	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი		-	-
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			-
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			-
480	ვალდებულებების გადაცემა			-
490	არასაოპერაციო ხარჯები		-	-
500	კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი		-	-
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			-
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			-
530	ვალდებულებების მიღება			-
540	მოგების გადასახადი			-
550	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	-	873	-

ბალანსის დანართი ფორმა N5.

კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება			გასვლა					
			შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	არასაბუქრაციო ხარჯები	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მოძრავებით	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
010	1. მატერიალური მარაგები	265,012	107,287	1,441,384	122	-	-	1,425,630	-	97,188	290,987
020	1.1 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
030	1.2 სხვა მატერიალური მარაგები	265,012	107,287	1,441,384	122	-	-	1,425,630	-	97,188	290,987
040	1.2.1 ნედლეული და მასალები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
060	1.2.3 მზა პროდუქცია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	904	1,200	-	-	-	-	-	-	1,200	904
090	1.2.6 სათანადო ნაწილები	-	1,328	-	-	-	-	-	-	1,328	-
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	264,108	104,759	1,441,384	122	-	-	1,425,630	-	94,660	290,083
110	2. ძირითადი აქტივები	1,270,194	795,685	15,477	-	2,275	751,733	-	161,432	-	1,165,916
120	2.1 შენობა- ნაგებობები	485,311	-	-	-	-	-	-	5,074	-	480,237
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	485,311	-	-	-	-	-	-	5,074	-	480,237
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
160	2.1.4 ქუჩები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
170	2.1.5 გზები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
180	2.1.6 ხიდები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
190	2.1.7 გვირაბები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

210	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
220	2.1.10 მილსადენები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
230	2.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	571,885	783,325	15,477	-	2,275	751,733	-	115,603	-	501,076
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	407,883	745,680	-	-	-	751,733	-	81,050	-	320,780
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	164,001	37,645	15,477	-	2,275	-	-	34,552	-	180,296
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	212,999	12,360	-	-	-	-	-	40,755	-	184,603
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	212,999	12,360	-	-	-	-	-	40,755	-	184,603
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	7,951	19,814	-	-	-	-	-	9,031	18,734
320	4. ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
330	4.1 შეირფასი ქვები და ლითონები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
340	4.2 ხელოვნების ნიმუშები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
350	4.3 სხვა ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
360	5. არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
370	5.1 მიწა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
380	5.2 წიაღისეული	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ბალანსის დანართი ფორმა N6.

კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტობრივი)			
		რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული		სულ ხარჯი	მათ შორის, შეკეთება	მათ შორის, საწვავი	მათ შორის, სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მათ შორის, შეკეთება	მათ შორის, საწვავი	მათ შორის, სათადარიგო ნაწილები
						რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა								
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	24	231,851	20	745,680	-	-	26	751,733	101,276	34,716	69,506	2,268	102,084	34,716	71,208	2,268
	მათ შორის:																
1.1	მსუბუქი	17	202,178	14	325,230	-	-	23	475,999	77,398	24,804	50,212	1,328	63,227	24,804	32,006	1,328
1.2	„ჯიპები“ და „პიკაპები“	7	29,673	6	420,450	-	-	3	275,734	23,878	9,912	19,294	940	38,857	9,912	39,203	940
	სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.3	სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.4	სატვირთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE